ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3698235

ნომერი: AR1558301

თარიღი : 15.11.2017

გაცემის თარიღი : 07.12.2017

გაცნობის თარიღი : 07.12.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II შესახვევი, N 1 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ვალენტინ თოფურიძის , შესახვევი II , N1-ის მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან გობეჯიშვილი პ/ნ 62011001618
- თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ჯავახეთის ქ., I შეს., N 9, ბ. 10

ორგანიზაცია:

- სან ჰაუსი კოდი: 406197413

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 15 ნოემბერს №AR1558301 განცხადებით მომართა მოქ. ლევან გობეჯიშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 21 ივლისის №3495463 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში , ვალენტინ თოფურიძის ქუჩის II-ს შესახვევში, N 1 -ის მიმდებარედ, მიწის ნაკვეთზე ს/კ: კოდი №01.10.10.020.170, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირებულია 6101.7 კვ.მ ნაცვლად 6097.0 კვ.მ-ისა; საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირებულია 3841.7 კვ.მ ნაცვლად 3837.7 კვ.მ-ისა; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირებულია 503.5 კვ.მ ნაცვლად - 503.2 კვ.მ-ისა; ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირებულია332.9 კვ.მ ნაცვლად - 332.5 კვ.მ-ისა.

სამსახურმა 2017 წლის 15 ნოემბერს №AR1558301 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანების ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საერთო ფართობად დაფიქსირდეს 6097.0 კვ.მ; საცხოვრებელ ფართობად დაფიქსირდეს 3837.7 კვ.მ; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად დაფიქსირდეს 503.2 კვ.მ; ავტოსადგომების ფართობად დაფიქსირდეს 332.5 კვ.მ.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 24 აგვისტოს №3495463 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.